საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

№2694 2019 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში – ფონდი) მსოფლიო ბანკის (WB) დაფინანსებით რეგიონული განვითარების მეორე პროგრამის (იმერეთი) ფარგლებში ახორციელებს კაცხის სვეტთან კელიებისა და მომსახურების შენობის მშენებლობისა და გელათის მონასტერთან მისასვლელი გზისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაციის პროექტებს (შემდგომში – პროექტები).

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ფონდმა უზრუნველყოს პროექტების ფარგლებში 2020 წელს შესრულებული სამუშაოებისა და მათი

საზედამხედველო მომსახურების ღირებულებების დაფინანსება „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ფონდისათვის დამტკიცებული „რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) (WB)“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 17) განსაზღვრული თანადაფინანსების სახსრებიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**